კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს
ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი

პირადი არქივების
აღწერილობა

5

სერიის მთავარი რედაქტორი

ეთერ ქავთარაძე

სერიის სარედაქციო კოლეგია

თამარ აბულაძე, ზაზა ალექსიძე, ირმა ბერიძე,
შალვა გლოველი, მანუჩარ გუნცაძე, აპოლონ თაბუაშვილი,
ვლადიმერ კეკელია, შორენა მურუსიძე, ქეთევან ხითარიშვილი

ISSN 1987-5304

ISBN 978-9941-9452-8-1

© კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს
ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, 2016.

სერგი გორგაძის

პირადი არქივის აღწერილობა

არქივი გადაამუშავა და გამოსაცემად მოამზადა
ეთერ ქავთარაძემ

ხელნაწერთა ინსტიტუტში სერგი გორგაძის ცალკე არქივი შეიქმნა ინსტიტუტის სხვადასხვა ფონდიდან ამოღებული დოკუმენტებით. დაამუშავა ელენე კელენჯერიძემ.

1999 წ. სერგი გორგაძის შვილიშვილმა ლია გორგაძემ ინსტიტუტს მნიშვნელოვანი მასალა შესწირა. 2006 წ. მისმა შვილებმა ქეთევან და დავით აბესაძეებმა ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრს შესწირეს სერგი გორგაძის საარქივო მასალის 60 ერთეული.

2008 წ. მასალა გააერთიანა და არქივი გადაამუშავა ეთერ ქავთარაძემ.

სარჩევი

I სერგი გორგაძე (ბიოგრაფიული ცნობები). ზაალ აბაშიძე.....7
II ბიოგრაფიული და საზოგადოებრივი მოღვაწეობის ამსახველი მასალა.....11
III შემოქმედებითი მოღვაწეობის ამსახველი მასალა.....13
IV მიმოწერა.....17
ა) სერგი გორგაძის წერილები სხვადასხვა პირს.....17
ბ) წერილები სერგი გორგაძეს.....19
V სხვადასხვა.....26
VI საძიებლები.....27
ა) პირთა საძიებელი.....27
ბ) გეოგრაფიულ სახელთა საძიებელი.....29
გ) თემატური საძიებელი.....30
VII სერგი გორგაძის ძველი და ახალი კატალოგების შემაჯერებელი ცხრილი.....31
VIII სერგი გორგაძის სხვა ფონდებში დაცული საარქივო მასალა.....32

I სერგი გორგაძე

(1876-1929)

სერგი გორგაძე ქართველ მეცნიერთა იმ თაობას ეკუთვნის, რომელმაც საფუძველი ჩაუყარა საქართველოს ისტორიის, ქართული სასულიერო თუ საერო მწერლობისა და ქართული ენის მეცნიერულ შესწავლას. ს. გორგაძის კალამს ეკუთვნის ბევრი ნაშრომი ქართველოლოგიის სხვადასხვა დარგში, რომელთაც დღემდე არ დაუკარგავთ მეცნიერული ღირებულება. საკმარისია მოვიყვანოთ თვალსაჩინო ქართველ მეცნიერთა გამონათქვამები ს. გორგაძის მეცნიერულ მემკვიდრეობაზე, რომ ნათელი წარმოდგენა შეგვექმნას მის ღვაწლსა და დამსახურებაზე. სიმონ ჯანაშია აღნიშნავდა, რომ სერგი გორგაძის სახით ქართულ მეცნიერებას ჰყავდა „არა მარტო მოყვარული ქართული სიძველეებისა, არამედ მათი მეცნიერულად მომზადებული და მეთოდოლოგიურად გაწვრთნილი მკვლევარი.“ აფასებდა რა ს. გორგაძის გამოკვლევებს ქართული პოეტური სტილისა და ფორმის პრობლემებზე, კ. კეკელიძე მიუთითებდა, რომ ეს ნაშრომი „წარმოადგენს პირველს ცდას ქართული ლექსთწყობის შედარებით მთლიანი და ამასთან ერთად საფუძვლიანი მიმოხილვისა.“ შოთა ძიძიგურის აზრით, სერგი გორგაძის მიერ შედგენილი ქართული ლიტერატურის სახელმძღვანელოები და ქართული მწერლობის ქრესტომათიები „უბადლოა მასალის შერჩევით, კრიტიკულად დადგენილი ტექსტებით და ვრცელი შენიშვნა-კომენტარებით“, ხოლო „ჩვენი ენის სიწმინდისთვის ბრძოლა – შ. ძიძიგურის თქმით – ვერ დაივიწყებს ს. გორგაძის ცნობილ წიგნს – ქართული მართლწერა, რომელმაც უთუოდ დიდი სარგებლობა მოუტანა სალიტერატურო ქართულის ნორმებით დაინტერესებულ მკითხველს.“

მაღალ შეფასებას აძლევენ ს. გორგაძის მეცნიერულ გამოკვლევებს, ლიტერატურული ძეგლებისა და წყაროების მისეულ გამოცემებს ნ. მარი, ივ. ჯავახიშვილი, გ. ჩიტაია.

* * *

სერგი გორგაძე დაიბადა 1876 წლის 2 აპრილს იმერეთის სოფელ ილემში, მღვდელ რომანოზ გორგაძის ოჯახში. სერგის თითქმის ყველა წინაპარი და ახლო ნათესავი სასულიერო პირი იყო და მანაც სასულიერო განათლება მიიღო – სამრევლო სკოლა, სასულიერო სასწავლებელი, სასულიერო სემინარია და აკადემია. თბილისის სასულიერო სემინარიის წარჩინებით დამთავრების შემდეგ სწავლა განაგრძო ყაზანის სასულიერო აკადემიაში, რომელიც 1901 წელს ღვთისმეტყველების კანდიდატის ხარისხით დაამთავრა.

სამშობლოში დაბრუნებული ს. გორგაძე ერთხანს ახალსენაკში ასწავლიდა ქართულ ენას, ხოლო 1903 წელს თბილისში გადმოიყვანეს და დანიშნეს საეპარქიო საბჭოს საქმის მწარმოებლად. ამავე წელს სერგიმ ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლად დაიწყო მუშაობა თბილისის სათავადაზნაურო გიმნაზიაში. ამის შემდეგ ს. გორგაძეს პედაგოგიური მოღვაწეობა არ შეუწყვეტია და მთელი მეოთხედი საუკუნის მანძილზე ასწავლიდა ლიტერატურასა და საქართველოს ისტორიას თბილისის სამასწავლებლო ინსტიტუტში, ქალთა უმაღლეს კურსებზე და ქალაქის სხვადასხვა გიმნაზიაში.

ს. გორგაძემ ჯერ კიდევ სტუდენტონის წლებში დაიწყო მეცნიერული კვლევა-ძიება. აკადემიის IV კურსზე სწავლისას მან დაწერა თხზულება „ფილოსოფია და მისი პროგრესი“, რომელიც თბილისში 1901 წელს ჟურნალ „მოამბეში“ გამოქვეყნდა. ფილოსოფიის ისტორიისადმი ინტერესი ს. გორგაძეს არასდროს განელებია და, თამამად შეიძლება ითქვას, რომ ქართული ფილოსოფიური აზროვნებისადმი, საერთოდ, ფილოსოფიისადმი ინტერესის გაღვივება და ქართული ფილოსოფიის ისტორიის მეცნიერული შესწავლა დაკავშირებულია სწორედ 1901 წელს გამოქვეყნებულ ს. გორგაძის ხსენებულ ნაშრომთან. წლების განმავლობაში ს. გორგაძე სწავლობდა, აღწერდა და გამოსცემდა ქართული ფილოსოფიური მწერლობის ძეგლებს, აქვეყნებდა სტატიებსა და წერილებს ფილოსოფიური მწერლობის ისტორიის და თეორიის მნიშვნელოვან საკითხებზე. 1914 წ. მან გამოსცა ნემესიოს ემესელის „ბუნებისათვის კაცისა“ (იოანე პეტრიწისეული თარგმანი) ვრცელი შესავალი წერილითა და კომენტარებით. გამოსაცემად მოამზადა იოანე დამასკელის „დიალექტიკის“ თარგმანები და ეფრემ მცირის მიერ თარგმნილი „გარდამოცემის“ ერთი თავი. ასევე მზად ჰქონდა გამოსაცემად გრიგოლ ნოსელის თხზულების „კაცისა შესაქმისათჳს“ ძველი ქართული თარგმანი. 1923

ნ. ჟურნალში „ჩვენი მეცნიერება“ (1) დაიბეჭდა ს. გორგაძის ნაშრომი „ნეოპლატონური ფილოსოფიის ერთი უძველესი კვალთაგანი ქართულ მწერლობაში (ფსევდო-დიონისიოს არეოპაგელის თხუზულებათა ქართული თარგმანი).“ ს. გორგაძის ამ გამოკვლევით, როგორც აკადემიკოსი შალვა ხიდაშელი აღნიშნავდა, „გაფართოვდა ცოდნა ნეოპლატონური ფილოსოფიის გავრცელების არეზე საქართველოში და, რაც უფრო მნიშვნელოვანია, პირველად მან მიაქცია ყურადღება არეოპაგიტული მოძღვრების ფაქტსა და მნიშვნელობას ქართული ფილოსოფიური აზრის ისტორიაში.“ ამავე 1923 წელს ს. გორგაძემ გამოაქვეყნა ნაშრომი „ფილოსოფიის მთავარი დარგები ქართულ მწერლობაში.“ სამართლიანად აღნიშნავდა აკადემიკოსი სიმონ ჯანაშია, რომ იმ პერიოდში „ს. გორგაძე ერთადერთი კაცი იყო ჩვენში, რომელიც სპეციალურად მუშაობდა ქართული ფილოსოფიური მწერლობის ისტორიაში.“ არ არის გასაკვირი, რომ 1922 წელს სწორედ ს.გორგაძე იყო იოანე პეტრიწის სახელობის საფილოსოფიო საზოგადოების შექმნის ერთ-ერთი ინიციატორი.

მნიშვნელოვანია სერგი გორგაძის წვლილი საქართველოს ისტორიისა და ქართული ეკლესიის ისტორიის კვლევის საქმეში. თავის ძირითად საისტორიო ნაშრომებში („საქართველოს ეკლესია და მისი დასაწყისი“ და „წერილები საქართველოს ისტორიიდან“) ს. გორგაძემ გამოთქვა ბევრი საინტერესო მოსაზრება, რომელიც დღესაც გაზიარებულია ქართულ ისტორიოგრაფიაში და, რომლის პირველი დამამკვიდრებელი სწორედ ს. გორგაძე იყო. ს. გორგაძის, როგორც მეცნიერ-ისტორიკოსის, შესანიშნავ დახასიათებას იძლევა აკადემიკოსი გიორგი ჩიტაია: „ს. გორგაძე, როგორც ისტორიკოსი-მეცნიერი ეკუთვნის მეცნიერთა იმ ჯგუფს, რომელმაც მეცნიერული კვლევა სავსებით მშობლიურ ნიადაგზე გადმოიტანა, რომელმაც ქართულ მეცნიერებას პუბლიცისტიკა ჩამოაცილა, რაც მეცნიერ-მუშაკთა ადრინდელ თაობას ახასიათებდა და კრიტიკული და ზუსტი მეთოდი შეითვისა...“

დიდია სერგი გორგაძის ღვაწლი ძველი და ახალი ქართული ლიტერატურის ძეგლების გამოცემის საქმეში. მას ეკუთვნის „შუშანიკის მარტვილობის“ პირველი მეცნიერული გამოცემა (1917), რომელმაც მაღალი შეფასება დაიმსახურა. სანიმუშოდ ითვლება მის მიერ აღწერილი საეკლესიო მუზეუმის 19 ხელნაწერი-სვანეთის ცნობილი მრავალთავი. ს. გორგაძის სახელთანაა დაკავშირებული ბესიკის თხზულებების პირველი აკადემიური გამოცემა (1921) და აკაკის რჩეულ თხზულებათა ოთხტომეულის რედაქტირება (ალ. აბაშელთან ერთად, 1925-1928).

1900-იანი წლებიდან მოყოლებული საქართველოს საზოგადოებრივ, სამეცნიერო და კულტურულ ცხოვრებაში არ მომხდარა რაიმე მნიშვნელოვანი მოვლენა, ს. გორგაძეს აქტიური მონაწილეობა რომ არ მიეღო.

განსაკუთრებით ხაზგასასმელია ს. გორგაძის მოღვაწეობა საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოებაში, რომლის დამფუძნებელი, საბჭოს წევრი და უცვლელი მდივანი იყო 1925 წლამდე. ამავე დროს, 1915 წლამდე ს. გორგაძე განაგებდა საზოგადოების ბიბლიოთეკა-მუზეუმს, ხოლო 1919 წლიდან გარდაცვალებამდე სათავეში ედგა საისტორიო და საეთნოგრაფიო მუზეუმს.

ს. გორგაძე იყო ჯვრის მონასტრის შემკეთებელი კომისიის, სვეტიცხოვლის განახლებისა და ბაგრატის ტაძრის აღდგენის კომიტეტების წევრი.

1917 წელს, საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენის შემდეგ ს. გორგაძე ეკლესიის დროებითი მმართველობის, ხოლო „კათალიკოსის თანაჲ“ საბჭოს შექმნის შემდეგ ამ საბჭოს წევრად იყო არჩეული.

უაღრესად დიდი მუშაობა გასწია ს. გორგაძემ საქართველოდან რუსეთში სხვადასხვა დროს გატანილი განძეულობის დასაბრუნებლად. შეიძლება ითქვას, რომ ბოლშევიკურ რუსეთთან ქართულ სიძველეთა დაბრუნების თაობაზე მოლაპარაკება სერგის ინიციატივით დაიწყო. განძეულობის დაბრუნების ერთ-ერთი მთავარი მონაწილე, მაშინ სრულიად ახალგაზრდა შ. ამირანაშვილი1923 წ. წერდა მოსკოვიდან ს.გორგაძეს: „იმედი მაქვს, რომ მალე ჩამოვალ მანდ და ყველაფერს უფრო დალაგებით გაცნობებთ, ვინაიდან როგორც თქვენ, ისე იშვიათად თუ ვინმეს აინტერესებს ჩვენი სიძველენის დაბრუნება.“

1927 წელს ს. გორგაძე შეყვანილ იქნა საქართველოს სსრ განათლების სახალხო კომისარიატის იმ საგანგებო კომისიაში, რომელსაც უნდა აღენუსხა და შეეფასებინა საქართველოდან 1921 წელს გატანილი განძეულობა.

„მრავალმხრივია ს. გორგაძის ნამუშაკევი, – აღნიშნავდა ს. ჯანაშია – მაგრამ ყველაფერში ერთნაირი სიცხადით ჩანს მისი ზნეობრივი პიროვნების უაღრესად განვითარებული გრძნობა, სიფაქიზე, კეთილსინდისიერება. უმწიკვლოა მისი ლიტერატურულ – ეთიკური სახე: მისი წყაროები ყოველთვის ნათელია და მათდამი დამოკიდებულება უანგარო და მკაფიო, ხოლო ავტორული მოკრძალება შეუდარებელი.“

ს. გორგაძე სრულიად ახალგაზრდა, 52 წლისა გარდაიცვალა 1929 წლის 10 ივნისს. დაკრძალულია დიდუბის პანთეონში.

ზაალ აბაშიძე

II სერგი გორგაძის ბიოგრაფიული და საზოგადოებრივი მოღვაწეობის ამსახველი მასალა

1. კ. მ. – „Музей“. На добрую память Сергею Романовичу Горгадзе“.
1920 წ., 28 მაისი – 10 ივნისი, რუსულ ენაზე, 1 ფ.

2. საისტორიო და საეთნოგრაფიო მუზეუმის საგადასახადო ხარჯის ფურცელი (1926-1928წ.წ.) და სხვა მიმოწერა ამ საქმის შესახებ, შედგენილი მუზეუმის დირექტორის სერგი გორგაძის მიერ.

პირი: ირიდიონ სონღულაშვილი.
1926-1927წ.წ., თბილისი, 15 ფ.

3. პოლონეთის სრულუფლებიანი მინისტრის მიწვევა ს. გორგაძის სახელზე. იწვევს თბილისში პოლონეთის საელჩოში მიღებაზე 12 ოქტომბერს.

1927 წ. 12 ოქტომბერი, ფრანგულ ენაზე, ს. გორგაძის მინაწერი:
„ვერ დავესწარი შესაფერისი ტანისამოსის უქონლობის გამო“. 1 ფ.

4. სამედიცინო დაზღვევის წიგნაკი, გაცემული თბილისის აღმასკომის ჯანმრთელობის განყოფილების მიერ სერგი გორგაძის სახელზე.

1928 წ. 2 ოქტომბერი, 1 წიგნაკი.

5. სილოვან ხუნდაძე – გიორგი ახვლედიანისა და სერგი გორგაძის საყურადღებოთ.

1928 წ. 8 იანვარი, ქუთაისი, ს. ხუნდაძის ავტოგრაფი, 2 ფ.

6. თამარ გორგაძის განცხადება სამეცნიერო დაწესებულებათა მმართველს. გარდაცვლილი მეუღლის სერგი გორგაძის კუთვნილი შვებულების თანხის თხოვნით. იქვე თ. გორგაძის ხელწერილი ამ თანხის მიღების შესახებ.

1929 წ. 2 ივლისი, თ. გორგაძის ავტოგრაფი, 2 ფ.

7. აკაკი შანიძე – სერგი გორგაძე. ნეკროლოგი. იქვე სამგლოვიარო განცხადებები.

1929 წ. 13 ივნისი, ამონაჭერი გაზეთიდან „კომუნისტი“ (1929წ., №133), 1 ფ.

8. იუსტინე აბულაძის განცხადება რუსთაველის სახელობის ინსტიტუტის დირექტორის სახელზე.

აცნობებს, რომ სერგი გორგაძის ქაღალდებში აღმოჩნდა მისი საყურადღებო შრომა „სარგის კაკაბაძის ლექციის „როდის ცხოვრობდა შოთა რუსთაველი“ გარჩევა. მიზანშეწონილად თვლის ინსტიტუტის მომდვენო კრებულში მის მოთავსებას. სთხოვს საფასური მისცენ ს. გორგაძის მეუღლეს.

პირი: თამარ ეგაძე-გორგაძე.
1938 წ. 1 ოქტომბერი, 1 ფ.

9. წერილი სერგი გორგაძის მოღვაწეობის შესახებ მისი გარდაცვალებიდან 30 წლისთავთან დაკავშირებით.

[1959 წ.], რუსულ ენაზე, ნაბეჭდი, 3 ფ.

10. ს. გორგაძის ფოტო, გადაღებული თბილისში ა. როინიშვილის ფოტოსტუდიაში.

1897 წ., 1 ფოტო.

11. სერგი გორგაძე ჯგუფურ ფოტოზე, გადაღებული თბილისში პ. ა. ვლადიმიროვის ფოტოსტუდიაში. ს. გორგაძესთან ერთად ფოტოზე გამოსახულნი არინ მისი მოწაფეები (II გიმნაზია): გ. რცხილაძე, ვ. ციცქიშვილი, კ. მანჯგალაძე.

1910 წ. 5 ივნისი, 1 ფოტო.

12. სერგი გორგაძის პორტრეტი, გრაფიკული ჩანახატი ფანქრით. აქვს მინაწერი: „ალ. მრევლიშვილისა. 1927 წ. X. 8“.

1927 წ. 8 ოქტომბერი, 1 ფ.

13. ს. გორგაძის ფოტო მეუღლესთან თამარ ეგაძესთან ერთად, გადაღებული თბილისში ა. ს. ნორდშტეინის ფოტოსტუდიაში.

უთარიღო, 1 ფოტო.

14. სერგი გორგაძის ფოტოსურათი.

უთარიღო, 1 ფოტო.

III შემოქმედებითი მოღვაწეობის ამსახველი მასალა

15. ყმაწვილობის დროინდელი ლექსები.

უთარიღო, ავტოგრაფი, 22 ფ.

16. ლექსების კრებული.

1892-1894 წ.წ., ავტოგრაფი, 12 ფ.

17. დღიური.

თავფურცელზე დავით გორგაძის ხელით აწერია: მამაჩემის ს. რ. გორგაძის დღიური.
პირი: ბესარიონ გორგაძე, ექვთიმე კაჭახიძე, ალ. ალექსანდროვი, გიორგი წერეთელი, ილია ჭავჭავაძე, ნოე [ჟორდანია], [მელიტონ] კელენჯერიძე, დავით ღამბაშიძე, ქსენია გაჩეჩილაძე, ალექსანდრე ეპისკოპოსი, გაბრიელ ეპისკოპოსი, ალ. არაბიძე, იაკობ გოგებაშვლი, ილია ფერაძე, ბესარიონ ხელაია.
ტოპონიმი: ილემი, წევა, კვალითი, ქუთაისი, ყაზანი, მოსკოვი, პეტერბურგი, ხარკოვი, ცარიცინი, როსტოვი, ნოვოროსიისკი, ბათუმი, ცხრაწყარო, ზესტაფონი, ძირულა, ღორეშა, ბაქო, თერჯოლა, ღვანკითი, ზორვეთი, წიფა.
1897-1901 წ.წ., ავტოგრაფი, 350 ფ.

18. რაში მდგომარეობს ნამდვილი თავისუფლება ?

1898 წ. 21 იანვარი, ყაზანი, 6 ფ.

19. საქართველოს ეკლესია და მისი დასაწყისი (იმერეთის ეპისკოპოსს ლეონიდს უძღვნის ავტორი).

1904 წ. 14 დეკემბერი, ავტოგრაფი, აქვს სსს მუზეუმის ბეჭედი, 40 ფ.

20. წერილები საქართველოს ისტორიიდან. ნაწილი პირველი და მეორე.

1905 წ. 1 ნოემბერი, 1906 წ., 20 ივნისი, ავტოგრაფი, აქვს სსს მუზეუმის ბეჭედი, 129 ფ.

21. ქართული წყობილსიტყვაობა (ლექსთა-წყობის თეორიიდან). I.

1909 წ. 31 მარტი, თბილისი, ავტოგრაფი, აქვს სსს მუზეუმის ბეჭედი, 125 ფ.

22. საქართველოს ისტორია. მოკლე სისტემატური კურსი მოზრდილთათვის. შესავალი, უძველესი ისტორია, ძველი ისტორია.

1910 წ., თბილისი, ავტოგრაფი, აქვს სსს მუზეუმის ბეჭედი, ახლავს რუკა „უძველესი საქართველო და მისი მეზობელი ქვეყნები“, 85 ფ.

23. ქართული წყობილსიტყვაობა. ლექსთა-წყობის თეორიიდან.

1911 წ., თბილისი, ავტოგრაფი, აქვს სსს მუზეუმის ბეჭედი, 148 ფ.

24. ს. კაკაბაძის ლექციის „როდის ცხოვრობდა შოთა რუსთაველი“ გარჩევა. აგრეთვე მასალები „ვეფხისტყაოსნის“ ხელნაწერთა შესახებ.

1913 წ. 23 აპრილი, თბილისი, ავტოგრაფი, შავი, 68 ფ.

25. К методологии истории литературы. ამონაწერები ლიტერატურიდან.

1913 წ. 20-30 აპრილი, რუსულ ენაზე, ავტოგრაფი, 12 ფ.

26. ძველი ტექსტების გამოცემა.

პირი: იუსტინე აბულაძე.
1914 წ., ავტოგრფაი, 9 ფ.

27. ფილოსოფიის მთავარი დარგები ქართულ მწერლობაში.

1916 წ. 14 ნოემბერი, თბილისი, ავტოგრაფი, 88 ფ.

28. იოვანე სინელის „კლემაქსი“ ჩვენს მწერლობაში.

1916 წ., თბილისი, ავტოგრაფი, 37 ფ.

29. იოვანე დამასკელის თავნი საფილოსოფოსონი.
ტექსტი, გამოსაცემად მომზადებული ს. გორგაძის მიერ.

1916 წ., თბილისი, ავტოგრაფი, 332 ფ.

30. ქართული სამართლის წიგნები (ხელნაწერები).

სამართლის წიგნთა ხელნაწერების აღწერილობა.

1916-1919 წ.წ., ავტოგრაფი, 45 ფ.

31. პროგრამა ხალხური სიტყვიერების შესაკრებად. (ქართული ხალხური სიტყვიერების შემკრებელთა სახელმძღვანელოდ).

1916-1925 წ.წ., პეტროგრადი, ქართულ და რუსულ ენებზე, ავტოგრაფი, 10 ფ. ახლავს „Программа для собирания диалектических материалов по грузинскому языку“, სტამბურად ნაბეჭდი, 12 ფ.

32. ძირითადი დებულებანი საქართველოს ეკლესიის უფლებრივის მდგომარეობისა რუსეთის სახელმწიფოში.

პირი: ვ. ბენეშევიჩი.
1917 წ. 28 აპრილი, ქართულ და რუსულ ენებზე, გადაწერილი სერგი გორგაძის მიერ, 4 ფ.

33. წიგნი „ქებაჲ ქებათაჲ სოლომონისი“ ქართულ მწერლობაში.

1917-1918 წ.წ., თბილისი, ავტოგრაფი, 35 ფ.

34. ლექსი.

აქვს მინაწერი: „ეს ლექსი ვასიკოს დავუწერე ნაავადმყოფარმა. ს. გ.“
1918 წ. 18 მაისი, თბილისი, ავტოგრაფი, 2 ფ.

35. ეფრემ მცირის „სოფლისათვის და კაცისა“.
ტექსტი, გამოსაცემად მომზადებული ს. გორგაძის მიერ.
1918 წ., ავტოგრაფი, 127 ფ.

36. ქართული საეკლესიო სამართალი (ხელნაწერები).
1918-1919 წ.წ., თბილისი, ავტოგრაფი, 169 ფ.

37. „ქებაჲ ქებათაჲ“, ახალი თარგმანი ებრაულიდან.
პირი: ჰერცელ ბააზოვი.
1923 წ. 18 ივნისი – 1924 წ. 25 მარტი, ავტოგრაფი, 20 ფ.

38. კათალიკოზთა ქრონოლოგიიდგან XV საუკუნის პირველი ნახევრისა.

უთარიღო, ავტოგრაფი, 2 ფ.

39. ქართველ მეფეთა ტიტულატურა XI-XV საუკუნეში (სიგელ-გუჯრების მიხედვით).

უთარიღო, ავტოგრაფი, 3 ფ.

40. ჩანაწერები „ვეფხისტყაოსნის“ ხელნაწერების შესახებ.

უთარიღო, ავტოგრაფი, 17 ფ.

41. რუის-ურბნისის კრება და მისი „ძეგლი“.

უთარიღო, ავტოგრაფი, 10 ფ.

42. რედაქტორის წინასიტყვაობა [სამართლის წიგნების გამოცემისათვის].

პირი: ექვთიმე თაყაიშვილი, ალექსანდრე ყიფშიძე, ალექსანდრე სარაჯიშვილი, კალისტრატე ცინცაძე, იუსტინე აბულაძე.
უთარიღო, ავტოგრაფი, 11 ფ.

43. ქრონოლოგიური ცნობები ვახტანგ VI შესახებ.

უთარიღო, ავტოგრაფი, 1 ფ.

44. [ვახტანგ VI სამართლის წიგნთა კრებულის] შესავალი. ტექსტი, გადაწერილი სერგი გორგაძის მიერ მისივე შენიშვნებით.

უთარიღო, ავტოგრაფი, 5 ფ.

45. ფილოსოფიური ხასიათის თხზულებათა ხელნაწერების აღწერილობა.

უთარიღო, ავტოგრაფი, 34 ფ.

46. საეკლესიო მუზეუმის 76 ხელნაწერის აღწერილობა.

უთარიღო, ავტოგრაფი, 2 ფ.

47. საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების ფონდის რამდენიმე ხელნაწერის აღწერილობა, შედგენილი სერგი გორგაძის მიერ.

უთარიღო, ავტოგრაფი, 24 ფ.

48. X-XI ს.ს. ხელნაწერებიდან ბიბლიოგრაფია. გეოგრაფიულ სახელთა საძიებელი.

უთარიღო, 29 ბარათი.

49. აკაკი წერეთლის ნაბეჭდ თხზულებათა ბიბლიოგრაფია, დალაგებული ანბანურ რიგზე. შედგენილი სერგი გორგაძის მიერ.

უთარიღო, სერგი გორგაძის ავტოგრაფი, ბარათებზე, 194 ბარათი
განთავსებული 28 კონვერტში.

50. აკაკი წერეთლის ნაბეჭდ თხზულებათა ბიბლიოგრაფია, დალაგებული ქრონოლოგიურად. შედგენილი სერგი გორგაძის მიერ.

უთარიღო, სერგი გორგაძის ავტოგრაფი, ბარათებზე, 1585 ბარათი
განთავსებული 61 კონვერტში.

51. წიგნების სია რუსულ და ფრანგულ ენებზე, ბარათებზე.

უთარიღო, 64 ბარათი.

IV მიმოწერა

ა) სერგი გორგაძის წერილები სხვადასხვა პირთან

ადრესატები

52. ასატური გიორგი
აწვდის ცნობებს თეიმურაზ II ქალიშვილების შესახებ.

პირი: მარი ბროსე.
1927 წ. 9 ივლისი, თბილისი, რუსულ ენაზე, 2 ფ.

ეგაძე თამარ.
53. კერძო ხასიათის.

პირი: ევტიხი მამინაიშვილი.
1902 წ. 20 იანვარი, ახალი სენაკი, 3 ფ.

54. კერძო ხასიათის.

1902 წ. 29 იანვარი, ახალი სენაკი, 2 ფ.

55. კერძო ხასიათის.

პირი: ნადია [ეგაძე], ილია [ფერაძე].
1902 წ., 6 თებერვალი, ახალი სენაკი, 2 ფ.

56. კერძო ხასიათის.

პირი: ლ. მესხიშვილი.
1902 წ. 11 თებერვალი, ახალი სენაკი, 2 ფ.

57. კერძო ხასიათის.

პირი: ნადიკო [ეგაძე], ილიკო [ფერაძე].
1902 წ. 14თებერვალი, ახალი სენაკი, 4 ფ.

58. სწერს, რომ სტუდენტობის დროს დაწერილ თავის ლექსს „ჩვენს იდეალს“ უძღვნის მას. იქვე ეს ლექსი.

პირი: ნადია [ეგაძე], ილია [ფერაძე].
ტოპონიმი: ქუთაისი, თბილისი.
1902 წ. 16 თებერვალი, 2 ფ.

59. კერძო ხასიათის.

პირი: ილია [ფერაძე], კირიონი, ღამბაშიძე, ევგენია [ეგაძე].
1902 წ. 5 მარტი, ახალი სენაკი, 1 ფ.

60. კერძო ხასიათის.

პირი: კაჭახიძე (ინსპექტორი), ალადოვი (არქიმანდრიტი), ნადია [ეგაძე], ილია [ფერაძე].
1902 წ. 12 მარტი, ახალი სენაკი, 2 ფ.

61. კერძო ხასიათის.

1902 წ. 20 მარტი, ახალი სენაკი, 6 ფ.

62. კერძო ხასიათის.

1902 წ. 27 მარტი, ახალი სენაკი, 2 ფ.

63. კერძო ხასიათის.

პირი: ყოვლად სამღვდელო ალექსანდრე, სილიონ გაჩეჩილაძე, ევტიხი მამინაიშვილი.
1902 წ. 2 აპრილი, ახალი სენაკი, 2 ფ.

64. კერძო ხასიათის.

1902 წ. 5 აპრილი, ახალი სენაკი, 2 ფ.

65. კერძო ხასიათის.

პირი: ევტიხი მამინაიშვილი.
1902 წ. 10 აპრილი, კვალითი, 2 ფ.

66. ჩიქობავა არნოლდ, ახვლედიანი გიორგი.
წერილები ეხება ქართული ენის საკითხებისადმი მიძღვნილ კრებაზე წამოჭრილ კამათს.

1927 წ. 7 აპირლი, ავტოგრაფი, შავი, 3 ფ.

ბ) წერილები სერგი გორგაძეს

ადრესანტები

67. ასატური გიორგი.
სთხოვს მიაწოდოს ცნობა, თუ რამდენი ქალიშვილი ჰყავდა თეიმურაზ II-ს და როდის დაიბადა უფროსი ანა.

1927 წ. 24 ივნისი, ერევანი, რუსულ ენაზე, 2 ფ.

68. მადლობას უხდის ანა თეიმურაზის ასულზე ცნობების მიწოდებისათვის. სწერს, რომ უგზავნის ქართული ხალხური პოეზიის ნუმუშებს, რომლებიც მის მეხსიერებას შემორჩა.

1927 წ., 31 აგვისტო, ერევანი, რუსულ ენაზე, ხალხური პოეზიის ნიმუშები ქართულ ენაზე, 4 ფ.

69. ბედიაშვილი სპირიდონ.
კერძო ხასიათის.

პირი: მიხა ცხაკაია, ივანე ბედიაშვილი.
1929 წ., 3 სექტემბერი, 1 ფ.
ბერიძე ვუკოლ.

70. აცნობებს, რომ მისი შრომის პირველი ფორმა ამობეჭდეს.

პირი: თომა მთავრიშვილი, იოსებ ყიფშიძე, ევგენია ეგაძე.
1914 წ. 14 ნოემბერი, ქუთაისი, 2 ფ.

71. წერილი ეხება სერგი გორგაძის სახელმძღვანელოს დაბეჭდვას ქუთაისის სტამბაში.

პირი: ლევ შჩერბა, იოსებ ყიფშიძე, ნიკო მარი.
ტოპონიმი: პეტროგრადი.
1914 წ. 2 დეკემბერი, ქუთაისი, 4 ფ.

72. სთხოვს დაეხმაროს თბილისის სასულიერო სემინარიაში ქართულის მასწავლებლად მოწყობაში.

პირი: კორნელი [კეკელიძე].
1916 წ. 28 აპრილი, ქუთაისი, 2 ფ.
გორგაძე ანეტა.

73. კერძო ხასიათის.

1916 წ. 3 ნოემბერი, ქუთაისი, 2 ფ.
გორგაძე ანთიმოზ.

74. სთხოვს შემწეობას ბაგრატის ტაძრის აღდგენაში და ტაძრის მოკლე ისტორიის შედგენას.

1911 წ. 7 მარტი, ქუთაისი, 1 ფ.

75. სწერს, რომ ბაგრატის ტაძრის მოკლე ისტორია უნდა გამოსცეს.

პირი: მამა არჩილი.
1911 წ. 18 მარტი, ქუთაისი, 1 ფ.

76. სთხოვს დაეხმაროს მის შვილს მიშა გორგაძეს.

პირი: ასლანბეგ აბაშიძე, შალვა [გორგაძე], ია ეკალაძე, ვუკოლ ბერიძე, დავით გორგაძე, ია გორგაძე, თამარ ეგაძე.
1919 წ. 1 იანვარი, 1 ფ.

77. კერძო ხასიათის.

პირი: გრიგოლ გორგაძე, მიხეილ გორგაძე, შალვა გორგაძე.
უთარიღო, 1 ფ.

78. მადლობას უხდის წიგნის გაგზავნისათვის. უზიარებს მოსაზრებას იმის შესახებ, რომ ეკონომიკა ერის კულტურული სიძლიერის უმთავრესი ფაქტორია.

პირი: არჩილ ჯორჯაძე.
1916 წ. 24 იანვარი, სარატოვი, 2 ფ.

79. სთხოვს გაუგზავნოს ე. თაყაიშვილის კრებული „ქართული ხალხური შემოქმედება“.

პირი: ია გორგაძე, თამარ ეგაძე, დავით გორგაძე.
1927 წ. 1 ნოემბერი, ბათუმი, 1 ფ.

80. კერძო ხასიათის.

პირი: თამარ ეგაძე.
1928 წ. 18 ნოემბერი, ბათუმი, 2 ფ.

81. სწერს, რომ შეუდგნენ საყოველთაო სავალდებულო სწავლების პროგრამის გატარებას.

პირი: ვასილ გორგაძე, ზურაბ წერეთელი (ექიმი), წინამძღვრიშვილი (ექიმი), შალვა [გორგაძე], დავით გორგაძე, თამარ ეგაძე, ია გორგაძე, ლია გორგაძე.
1929 წ. 4 თებერვალი, ბათუმი, 1 ფ.

82. კერძო ხასიათის.

პირი: დიმიტრი ვაჩნაძე, თამარ ეგაძე.
1916 წ. 16 მაისი, პეტერბურგი, 1 ფ.

83. კერძო ხასიათის.

პირი: დიმიტრი ვაჩნაძე, ვახტანგ ღამბაშიძე.
1916 წ. 16 ივლისი, პეტერბურგი, 1 ფ.

84. კერძო ხასიათის.

პირი: დიმიტრი ვაჩნაძე, ვახტანგ ღამბაშიძე.
1916 წ. 8 აგვისტო, პეტერბურგი, 1 ფ.

85. კერძო ხასიათის.

პირი: დავით ვაჩნაძე, დიმიტრი ვაჩნაძე, თამარ ეგაძე.
1916 წ. 26 აგვისტო, პეტერბურგი, 1 ფ.

86. კერძო ხასიათის.

პირი: [თომა] მთავრიშვილი, დავით და ია გორგაძეები,
თამარ [ეგაძე].
1923 წ. 2 იანვარი, ქუთაისი, 1 ფ.

87. დონდუა ვარლამ. აცნობებს, რომ გრ. წერეთელს გაუგზავნიან ჟუკოვსკის წიგნს.

პირი: თათარაშვილი კონდრატე.
1927 წ. 3 მაისი, ლენინგრადი, 2 ფ.

88. ეკითხება აზრს ფრანგულ ენაზე დაწერილი წიგნის (Essai sur les troubles actuels de Perse et de Georgie, Paris, 1754) შესახებ, რომლის თარგმნასაც აპირებს.

პირი: თედო [ჟორდანია].
1913 წ. 16 ივლისი, ბრიუსელი, 1 ფ.

89. სთხოვს დაეხმაროს წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების მიერ გამოცხადებული სტიპენდიის მიღებაში.

1913 წ. 21 სექტემბერი, ბრიუსელი, 2 ფ.

90. სთხოვს გაუგზავნოს თავისი ნაშრომი იოანე პეტრიწის თხზულების შესახებ.

პირი: პავლე ინგოროყვა.
1914 წ. 23 მარტი, ბრიუსელი, 2 ფ.

91. სწერს, რომ უგზავნის თავისი წიგნის წინასიტყვაობას. სთხოვს დაწეროს რეცენზია ამ წიგნზე.

პირი: ირიდიონ სონღულაშვილი, ვახტანგ ღამბაშიძე.
1913 წ. 27 ივნისი, პატარა ცემი, 2 ფ.

92. სწერს, რომ „გრდემლისთვის“ მიაწოდებს ახალ მასალებს.

პირი: ვახტანგ ღამბაშიძე, ექვთიმე [თაყაიშვილი].
1913 წ. 14 სექტემბერი, სოფ. ბულუხაური (გურია), 2 ფ.

93. სწერს თავისი წიგნის გამოცემის შესახებ. აცნობებს, რომ უგზავნის „სასულიერო პოეზიის“სრულ კომპლექტს.

ტოპონიმი: ბაკურიანი.
უთარიღო, 2 ფ.

94. კასრაძე დავით.
სთხოვს დაეხმაროს სტიპენდიის მიღებაში.

პირი: კორნელი [კეკელიძე].
1913 წ. 1 დეკემბერი, ბრიუსელი, 2 ფ.

95. კეკელიძე კორნელი.
აცნობებს, რომ რექტორატის სხდომაზე დაისახეს იოსებ ყიფშიძის გარდაცვალების მეათე წლისთავთან დაკავშირებული ღონისძიებები.

1929 წ. 18 თებერვალი, თბილისი, 1 ფ.

96. ლეონიდ ეპისკოპოსი.
სთხოვს დაივიწყოს წყენა და განაახლოს მუშაობა კომისიაში, რომელმაც ქართული ეკლესიის პრობლემებზე უნდა იმსჯელოს.

აქვს ს. გორგაძის მინაწერი: „მივიღე დილის 10 საათზე (დათიკო დავითაშვილმა გადმომცა)“.
პირი: ვ. ბენეშევიჩი.
1917 წ. 13 აპრილი, 1 ფ.

97. მარი ნიკო.
მადლობას უხდის წიგნის (ნემესიოს ემესელის ს. გორგაძისეული გამოცემა) გაგზავნისთვის. სწერს, რომ აპირებს მომდევნო წელს ლექციებზე დედნად გამოიყენოს ეს გამოცემა.

1909 წ. 14 აპრილი, პეტერბურგი, 2 ფ.

98. ჟორდანია თედო.
აცნობებს, რომ ასზე მეტი მისი კუთვნილი ხელნაწერი გადასცა კირიონს

და ინახება მუზეუმში (იგულისხმება საეკლესიო მუზეუმი). სწერს, რომ ს. გორგაძისთვის საინტერესო ხელნაწერი ინახება წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ბიბლიოთეკაში.

პირი: ჩუდენცი.
1908 წ. 5 ოქტომებრი, ქუთაისი, 1 ფ.
ყიფშიძე დავით.

99. ატყობინებს პეტროგრადში სატყეო ინსტიტუტში მიღების პირობებს. გამოთქვამს თავის აზრს სარგის კაკაბაძის წერილის გამო ატეხილი დავის შესახებ. სწერს, რომ ზაფხულში ანისში აპირებს მუშაობას.

პირი: [გრიგოლ] რობაქიძე, ა. ჯაჯანაშვილი, [თამარ ეგაძე-გორგაძე], [ევგენია (გენო) ეგაძე-ყიფშიძე], აკაკი შანიძე.
1915 წ. 14 აპრილი, პეტროგრადი, 2 ფ.

100. უზიარებს თავის შეხედულებებს და შენიშვნებს სერგი გორგაძის წიგნზე „ქართული მართლწერა“.

პირი: იოსებ ყიფშიძე.
1916 წ. 4 აპრილი, პეტრეს ქალაქი, 4 ფ.

101. ატყობინებს, რომ თავისი დისერტაციის შესახებ ა. ცაგარელმა დადებითი აზრი წარუდგინა ფაკულტეტს.

პირი: ნიკო მარი, გენო (ევგენია) [ეგაძე], დავით [ყიფშიძე].
1914 წ. 21 ოქტომბერი, პეტერბურგი, 1 ფ.

102. მადლობას უხდის „დაბადების“ გამომცემელი კომისიის სახელით. წერილში ლაპარაკია „დიალექტიკის“ გამოცემის შესახებ.

პირი: [იოსებ] ორბელი, თამარ [ეგაძე], ევგენია (გენო) [ეგაძე], ნინო ლომოური.
1916 წ. 6 მარტი, პეტროგრადი, 1 ფ.

103. სწერს, რომ საისტორიო საზოგადოებისთვის იძენს ლიტერატურას.

პირი: დავით [ყიფშიძე], შახ-პარონიანცი.
1917 წ. 26 თებერვალი, პეტერბურგი, 1 ფ.

104. ჩიტაია გიორგი.

მადლობას უხდის წიგნების გაგზავნისათვის. ატყობინებს, რომ მათთვის მეტად საინტერესოა „ქართული წყობილსიტყვაობა“. სწერს, რომ გაუგზავნა ნიკო მარის წიგნი „Кавказ и памятники духовной культуры“.

პირი: ნიკო მარი, ივანე ჯავახიშვილი, იოსებ ყიფშიძე, სილოვან ხუნდაძე.
1912 წ. 9 თებერვალი, პეტერბურგი, 2 ფ.

105. უსაყვედურებს იმის გამო, რომ ქართული ენის პროგრამებში მისი ნაწარმოებები არ შეუტანიათ.

პირი: იაკობ გოგებაშვილი, [გიორგი] ჭალადიდელი, აკაკი შანიძე, ნიკოლაიშვილი.
1928 წ. 16 თებერვალი, ქუთაისი, ფანქარი, 2 ფ.

106. სწერს, რომ უსამართლოდ აკრიტიკებს მის გრამატიკული ხასიათის ნაშრომებს და პოეზიას.

პირი: აკაკი შანიძე, ნიკოლაიშვილი, ნიკო მარი, ივანე ჯავახიშვილი.
1927 წ. 5 აპრილი, ქუთაისი, 2 ფ.

107. მადლობას უხდის წიგნის გაგზავნისთვის. სწერს, რომ შეუდგა ნემესიოსის ქართული თარგმანის კითხვას და ბერძნულ დედანთან და ლათინურ თარგმანთან შედარებას.

1914 წ. 18 აპრილი, პეტერბურგი, 1 ფ.

108. სწერს, რომ მიიღო მისი (ს. გორგაძის) ახალი წიგნი.

პირი: გიორგი ყაზბეგი, იოსებ [ყიფშიძე], იუსტინე აბულაძე, პავლე ინგოროყვა, დამიანე ჯგუშია.
1915 წ. 21 ივლისი, ხოვლე, 1 ფ.

109. სწერს რუსეთის მუზეუმებიდან ქართული ხელნაწერებისა და სიძველეების მიღების შესახებ. იმავე ფურცელზე შალვა ამირანაშვილის წერილი ს. გორგაძესთან იმავე საკითხზე.

პირი: აკაკი შანიძე, კორნელი კეკელიძე, პავლე ინგოროყვა, ა. ნ. გენკო, ვუკოლ ბერიძე, პროტასოვი, ვ. ბენეშევიჩი, ა. ორეშნიკოვი, ს. ოლდენბურგი, კონდაკოვი, ექვთიმე თაყაიშვილი, იროდიონ სონღულაშვილი.
ტოპონიმი: პეტერბურგი.
1923 წ. 21 ივლისი, მოსკოვი, 8 ფ.

110. სწერს, რომ აპირებს უცნობი პირისგან შეიძინოს ქართული სიძველეები.

ახლავს შალვა ამირანაშვილის ამონაწერები რუსეთის მუზეუმებიდან მიღებული სიძველეების შესახებ.
პირი: ვუკოლ ბერიძე, კაჭარავა, ნინო [ფერაძე].
ტოპონიმი: ხაშური, უკრაინა.
1923 წ. 14 დეკემბერი, პეტერბურგი 2 ფ.

111. სწერს პეტერბურგის მუზეუმებიდან (სააზიო, რუმიანცევის, ისტორიული, საჯარო ბიბლიოთეკა) ქართული ხელნაწერებისა და სიძველეების მიღების შესახებ.

პირი: ძაძამია, ა. გენკო, ვ. ბენეშევიჩი, იოსებ ჟორდანია, შალვა ამირანაშვილი, ჩახუნაშვილი, ნინო [ფერაძე].
ტოპონიმი: კიევი, ხარკოვი, ხაშური.
უთარიღო, (3 მარტი), მოსკოვი, 1 ფ.

112. უცნობი პირი.

კერძო ხასიათის.
1918 წ. 3 მარტი, 1 ფ.

113. უცნობი პირი. აცნობებს, რომ მისი ქრესტომათია შემოდგომამდე დაიბეჭდება თ. მთავრიშვილის სტამბაში.

პირი: ვუკოლ [ბერიძე].
1915 წ. 1 აპრილი, ბოლონაკლული, 1 ფ.

V სხვადასხვა

114. კავკასიის სანამესტნიკოს მკვიდრ ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი თბილისის საზოგადოების წესდება.

1879 წ. 31 მარტი, სტამბურად ნაბეჭდი, 8 ფ.

115. თბილისის ვაჟთა 2 გიმნაზიის მოსწავლის [დავით] გორგაძის (ს. გორგაძის შვილი] აკადემიური მოსწრების ფურცელი.

1916 წ., რუსულ ენაზე, სტამბურად ნაბეჭდი, 1 ფ.

116. ვასილ გორგაძის წერილი შალვა გორგაძეს.

კერძო ხასიათის.
1916 წ. 19 სექტემბერი, პეტერბურგი, 1 ფ.

117. მიწვევა ტფილელი მიტროპოლიტის ლეონიდის საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ხარისხზე აყვანის ცერემონიალზე.

პირი: [კალისტრატე] ცინცაძე.
ტოპონიმი: მცხეთა.
1919 წ. 18 თებერვალი, სტამბურად ნაბეჭდი, 1 ფ.

118. წარწერა, გადმოღებული კასპის მახლობლად ეკლესიიდან.

აქვს ს. გორგაძის მინაწერი: „კასპის მახლობლად გადაუღიათ 1912 წლის 15 დეკემბერს, ვახტანგ ღამბაშიძემ გამომიგზავნა“.
1912 წ. 25 დეკემბერი, 1 ფ.

VI საძიებლები*

პირთა საძიებელი

აბაშიძე ასლანბეგ – 76
აბულაძე იუსტინე – 8, 26, 42, 108
ალადოვი (არქიმანდრიტი) – 60
ალექსანდრე ყოვლად სამღვდელო – 17, 63
ალექსანდროვი ალ. - 17
ამირანაშვილი შალვა – 109-111
არჩილი (მამა არჩილი) – 75
ასატური გიორგი – 52, 67, 68
ახვლედიანი გიორგი – 5, 66
ბააზოვი გერცელ – 37
ბედიაშვილი ივანე – 69
ბედიაშვილი სპირიდონ – 69
ბენეშევიჩი ვ. – 32, 96, 109, 111
ბერიძე ვუკოლ – 72, 76, 109, 110, 113
ბროსე მარი – 52
გაბრიელ ეპისკოპოსი – 17
გაჩეჩილაძე სილიონ – 63
გაჩეჩილაძე ქსენია – 17
გენკო ა. ნ. – 109, 111
გოგებაშვილი იაკობ – 17, 105
გორგაძე ანეტა – 17, 73
გორგაძე ანთიმოზ – 74-77
გორგაძე ბესარიონ - 17
გორგაძე გრიგოლ – 78-81
გორგაძე დავით – 17, 76, 79, 81, 86, 115
გორგაძე ვასილ – 81-6
გორგაძე ია – 76, 79, 81, 86
გორგაძე ლია – 81
გორგაძე მიხეილ – 77
გორგაძე შალვა – 76, 77, 116
დონდუა ვარლამ – 87
ეგაძე ევგენია – 59, 99, 101, 102
ეგაძე-გორგაძე თამარ – 6, 8, 13, 53-65, 76, 79, 82, 85, 86, 99, 102
ეგაძე ნადია – 55, 57, 58, 60
ეკალაძე ია – 76
ვაჩნაძე დავით – 85
ვაჩნაძე დიმიტრი – 82-85
ვლადიმიროვი პ. ა. – 11
თათარაშვილი კონდრატე – 88-90
თაყაიშვილი ექვთიმე – 42, 93, 109
ინგოროყვა პავლე – 91-93, 108, 109
კაკაბაძე სარგის – 8, 24
კასრაძე დავით – 94
კაჭარავა – 110
კაჭახიძე ექვთიმე - 17
კეკელიძე კორნელი – 72, 94, 95, 109
კელენჯერიძე მელიტონ – 17
კონდაკოვი ნიკოდიმე – 109
ლეონიდ ეპისკოპოსი – 2, 96, 117
ლომოური ნინო – 102

* საძიებელში მითითებულია პირადი საარქივო ფონდის აღწერილობის ნომრები.

მამინაშვილი ევტიხი – 53, 63, 65
მანჯგალაძე კ. – 11
მარი ნიკო – 97, 101, 104, 106
მესხიშვილი ლადო – 56
მთავრიშვილი თომა – 86, 113
მრევლიშვილი ალ. – 11
ნიკოლაიშვილი – 105, 106
ნორდშტეინი ა. ს. – 13
ოლდენბურგი სერგეი – 109
ორბელი იოსებ – 102
ორეშნიკოვი ა. – 109
პროტასოვი – 109
ჟორდანია თედო – 88, 98
ჟორდანია იოსებ – 111
ჟორდანია ნოე – 17
რობაქიძე გრიგოლ – 99
როინიშვილი ალექსანდრე – 10
რცხილაძე გ. – 11
სარაჯიშვილი ალექსანდრე – 42
საძაგლიშვილი კირიონ – 59, 18
სონღულაშვილი ირიდიონ – 2, 91, 109
ფერაძე ილია – 17, 55, 57-60
ფერაძე ნინო – 110, 111
ღამბაშიძე დავით – 17
ღამბაშიძე ვახტანგ – 83, 84, 91, 92, 118
ყაზბეგი გიორგი – 108
ყიფშიძე ალექსანდრე – 42
ყიფშიძე დავით– 99-101, 103
ყიფშიძე იოსებ – 31, 95, 104, 108
შანიძე აკაკი – 7, 99, 105, 106, 109
შახ-პარონიანცი – 103
ჩახუნაშვილი – 111
ჩიტაია გიორგი – 105
ჩიქობავა არნოლდ – 66
ჩუდეცკი – 98
ცაგარელი ალექსანდრე – 101
ცინცაძე კალისტრატე – 42, 117
ციცქიშვილი ვ. – 11
ცხაკაია მიხა – 69
ძაძამია – 111
წერეთელი აკაკი – 49, 50
წერეთელი გიორგი – 17
წერეთელი ზურაბ (ექიმი) – 81
წინამძღვრიშვილი (ექიმი) – 81
ჭავჭავაძე ილია – 17
ჭალადიდელი გიორგი – 105
ხელაია ბესარიონ – 17
ხუნდაძე სილოვან – 5, 105, 106
ჯავახიშვილი ივანე – 104, 107, 108
ჯაჯანაშვილი არ. – 99
ჯგუშია დამიანე – 109-111
ჯორჯაძე არჩილ – 78

გეოგრაფიულ სახელთა საძიებელი

ანისი – 99

ახალი სენაკი – 53-57, 59-64

ბათუმი – 17, 79-81

ბაკურიანი – 92

ბაქო – 17

ბრიუსელი – 88-90, 94

ბულუხაური – 92

ერევანი – 67, 68

ზესტაფონი – 17

ზორვეთი – 17

თერჯოლა – 17

თბილისი – 21, 24, 27-29, 33, 34, 36, 52, 58, 65-68, 95

ილემი – 17

კასპი – 118

კვალითი – 17, 65

კიევი – 111

ლენინგრადი – 87

მოსკოვი – 17, 109, 111

მცხეთა – 117

ნოვოროსიისკი – 17

პატარა ცემი – 91

პეტერბურგი – 17, 31, 82-85, 97, 99-104, 107, 109, 111

როსტოვი – 17

სარატოვი – 78

უკრაინა – 110

ქუთაისი – 5, 17, 58, 72-75, 86, 98, 105, 106

ღვანკითი – 17

ღორეშა – 17

ყაზანი – 17, 18

ცხრაწყარო – 17

წევა – 17

წიფა – 17

ხარკოვი – 17, 111

ხაშური – 110, 111

ხოვლე – 108

თემატური საძიებელი

არქეოგრაფია – 30, 40, 45, 46, 47, 48, 98, 109-111

ბიბლიოლოგია – 33, 37, 102

ეკლესიის ისტორია – 19, 32, 36, 38, 41, 96

ენათმეცნიერება – 100, 106

ეპისტოლური მემკვიდრეობა – 52-113

ისტორიოგრაფია – 20, 22, 39, 41, 43, 67, 68

მემუარული ლიტერატურა – 17

პედაგოგიკა – 81

პოეზია – 15, 16, 34

პუბლიცისტიკა – 18

ჟუნალისტიკა – 92

სამართლისმცოდნეობა – 30, 36, 42, 44

ტექსტოლოგია – 24, 26, 29, 35, 42, 44

ფილოლოგია – 8, 21, 23, 24, 25, 28, 35, 37, 40, 49, 50, 93, 97, 107

ფილოსოფია – 27, 29, 45

ფოლკლორისტიკა – 31, 68, 79

ხელოვნებათმცოდნეობა – 74, 75

VII სერგი გორგაძის არქივის ძველი და ახალი კატალოგების შემაჯერებელი ცხრილი

ძველი	ახალი
1	18
2	19
3	20
4	21
5	22
6	23
7	8. 24
8	25
9	26
10	42
11	44
12	41
13	28
14	27
15	45
16	30
17	31
18	32
19	33
20	37
21	36
22	46
23	40
24	39
25	38
26	43
27	48
27ა	47
28-85	50
114	116
86-116	49
117	51
118	113
119	86
120	ირ. სინღულაშვილის არქივში
121	ნიკო მარის არქივში
122	ნიკო მარის არქივში
123	99
124	100
125	101
126	102
127	103
128	29, 35

VIII სერგი გორგაძის სხვა ფონდებში დაცული საარქივო მასალა

I შემოქმედებითი მოღვაწეობის ამსახველი მასალა

1. ლექსების კრებული. ლ. მ. 6916
2. სხვადასხვა ერი. ლექსი. ლ. მ. 6836
3. ბოდვა. პოემა. ლ. მ. 6835
4. კეთილი ცხოვრების ოთხი გზის მაჩვენებელი. მოთხრობა. ლ. მ. 6885
5. ქართული გრამატიკა. ლ. მ. 6856
6. ნაციონალური ენის საზოგადო და განსაკუთრებული მნიშვნელობა და რა სამერმისო მოელის ჩვენს ენას. ლ. მ. 6937
7. ქართული სადასიტყვაობა. ლ. მ. 6882
8. ქართული ლექსი. ლ. მ. 573, 6828
9. ფილოსოფიის ძირითადი დარგები ქართულ მწერლობაში. ლ. მ. 6914
10. ფსევდოდიონისე არეოპაგელის თხზულებანი ქართულ მწერლობაში. ლ. მ. 6884
11. ბიოგრაფიული ცნობა იოანე დამასკელზე. ლ. მ. 6936
12. ძველი ებრაული პოეზია. „ქება ქებათაჲ სოლომონისი“. ლ. მ. 6894
13. იოანე საბანისძის „წამებაჲ ჰაბოჲსი“. ლ. მ. 6881
14. წერილები საქართველოს ისტორიიდან. ლ. მ. 6934
15. საქართველოს ძველი ისტორია. ლ. მ. 6841
16. საარქეოლოგიო და საგეოგრაფიო მასალები. ლ. მ. 6827
17. სეთნოგრაფიო და საგეოგრაფიო მასალები. ლ. მ. 10241
18. სამშობლო და კაცობრიობა. ლ. მ. 6826
19. საზოგადოება, მისი შენობა, უმთავრესი პროცესები და კანონები. ლ. მ. 6901
20. ქრისტიანობა და კაპიტალიზმი. ლ. მ. 6942
21. შენიშვნები სევასტი გაჩეჩილაძის ხუთ პოემაზე საბურთალოს ცხოვრებიდან. ლ. მ. 6912
22. გორგაძეთა გვარის გენეალოგია. ლ. მ. 6947
23. ილმური გორგაძეების ერთი შტო. ლ. მ. 6948

II სერგი გორგაძის წერილები სხვადასხვა პირს

24. ს. გორგაძის წერილები (4 წერილი) ექვთიმე თაყაიშვილს.
ხეც, ე. თაყაიშვილის არქ. 1339, 1339ა, 1339ბ, 1339გ.
25. ს. გორგაძის წერილები (2 წერილი) ანასტასია თუმანიშვილს.
ხეც, ან. თუმანიშვილის არქ. 364, 365

26. ს. გორგაძის წერილი გიორგი თუმანიშვილს.
ხეც, გ. თუმანიშვილის არქ. 1179
27. ს. გორგაძის წერილი კირიონ საძაგლიშვილს.
ხეც, კირიონის არქ. 595
28. ს. გორგაძის წერილები (3 წერილი) ეროდიონ სონღულაშვილს.
ხეც, ირ. სონღულაშვილის არქ. 104, 105. 106.
29. ს. გორგაძის წერილები (3 წერილი) დავით ყიფშიძეს.
ლ. მ. 3235, 3209, 3218.
30. ს. გორგაძის წერილი (2 წერილი) იოსებ ყიფშიძეს.
ხეც, ი. ყიფშიძის არქ. 74, 75

სერგი გორგაძე მოხსენიებულია ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში დაცულ შემდეგ დოკუმენტებში:

1. ანასტასია თუმანიშვილის არქ. 932
2. გიორგი თუმანიშვილის არქ. 502
3. ვასილ კარბელაშვილის არქ. 258, 366
4. კორნელი კეკელიძის არქ. 341, 613, 685
5. თედო ჟორდანიას არქ. 175
6. კირიონ საძაგლიშვილის არქ. 17, 585, 586
7. ეროდიონ სონღულაშვილის არქ. 110, 124, 131, 158, 206
8. სხვადასხვა 200
9. კალისტრატე ცინცაძის არქ. 107, 109
10. მოსე ჯანაშვილის არქ. 2, 129

შემოკლებათა ახსნა

ლ. მ. – ლიტერატურის მუზეუმი
ხეც – ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი.

KORNELI KEKELIDZE GEORGIAN NATIONAL CENTRE OF MANUSCRIPTS

CATALOGUES OF PRIVATE ARCHIVES

5

SERGI GORGADZE

Tbilisi 2016

საგამოცემლო ჯგუფი

ირმა ბერიძე
ლანა გრძელიშვილი
თამარ მჭედლიძე
ვლადიმერ პერანიძე

კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი
0193 თბილისი, მერაბ ალექსიძის ქ. 1/3. ტელ.: 995 (32) 247 42 42
www.manuscript.ge info@manuscript.ac.ge
1/3 M. Alexidze str., Tbilisi 0193, Georgia. Tel.: +995 (32) 247 42 42
KORNELI KEKELIDZE GEORGIAN NATIONAL CENTRE OF MANUSCRIPTS